



SIGMA

**Support for Improvement in
Governance and Management**

A joint initiative of the OECD and the European
Union, principally financed by the EU

გადასახადების ადმინისტრირება პორტუგალიაში:

დავების გადაწყვეტის მექანიზმები

კონფერენცია თემაზე:

„ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის ორგანიზაცია:

ევროკავშირის

ქვეყნების გამოცდილება”

თბილისი

საქართველო

25-26 სექტემბერი, 2009

საკონფერენციო თემა მოამზადა

ანა იზაბელ ვალენტემ

გადასახადების გენერალური დირექტორატის მრჩეველი, პორტუგალია

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მასში გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებასა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ან მისი წევრი ქვეყნების ან სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ქვეყნების პოზიციას.

შინაარსი

| | |
|---|----|
| სახელმწიფო მმართველობისა და ფინანსთა სამინისტრო | 3 |
| მისია..... | 3 |
| ვალდებულებები..... | 3 |
| საგადასახადო ადმინისტრაცია | 4 |
| კანონპროექტთა შემუშავების პროცესი..... | 6 |
| დეპარტამენტის პოზიციის შემუშავების პროცესი | 7 |
| საგადასახადო სარჩელები..... | 7 |
| იერარქიული გზა..... | 7 |
| დავა ადმინისტრაციულ სასამართლოში..... | 8 |
| საგადასახადო სასამართლოები პორტუგალიაში | 9 |
| გადამხდელთა გარანტიები..... | 10 |
| საგადასახადო საქმიანობის პრინციპები..... | 10 |
| გადამხდელთა უფლებები საგადასახადო ადმინისტრაციასთან ურთიერთობებში..... | 11 |
| ხარვეზის აღმოჩენა საგადასახადო კანონმდებლობაში..... | 13 |
| საგადასახადო ადმინისტრაცია და გადამხდელები | 13 |

გადასახადების ადმინისტრირება პორტუგალიაში:

დავების გადაწყვეტის მექანიზმები

სახელმწიფო მმართველობისა და ფინანსთა სამინისტრო

მისია

სახელმწიფო მმართველობისა და ფინანსთა სამინისტრო (სმფს) წარმოადგენს სამთავრობო დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო მმართველობის სამოქმედო კურსის განსაზღვრასა და წარმართვაზე, სახელმწიფო რესურსების რაციონალური მართვის ხელშეწყობაზე, რესურსების მოზიდვისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდასა და ორგანიზაციისა და მართვის პროცესისა და სისტემების გაუმჯობესებაზე.

ვალდებულებები

თავისი მისიის შესაბამისად სმფს ფისკალურ და საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით:

- ა) განსაზღვრავს და აკონტროლებს სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკას, რომლის დროსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონტექსტუალური სტაბილიზაციის მიზნებსა და ეკონომიკურ განვითარებას პარლამენტის, მთავრობისა და ევროკავშირის სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოების მიერ დადგენილი მოქმედების ეკონომიკური კურსის ფარგლებში;
- ბ) შეიმუშავებს და განახორციელებს ფისკალურ პოლიტიკას;
- გ) ახორციელებს სახელმწიფოს ფინანსური ინსტრუმენტების მართვას (სახელმწიფო ბიუჯეტი, შემოსავლები და მემკვიდრეობა);
- დ) საჯარო დაწესებულებებს უწევს ზედამხედველობას დამოუკიდებლად ან იმ მთავრობის წევრის ან წევრების მონაწილეობით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესაბამის სფეროზე;
- ე) ახორციელებს სახელმწიფო წილის მართვის ფუნქციას;
- ფ) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროებში განხორციელებულ ფინანსურ საქმიანობას. კერძოდ, ევროპული თანამეგობრობის შესახებ შეთანხმების 104-ე მუხლითა და სტაბილურობისა და ზრდის პაქტით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში;
- გ) ახორციელებს ადგილობრივი მთავრობების ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობას;

- პ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო და ავტონომიური რეგიონების ფინანსურ ურთიერთობას;
- ო) კოორდინაციას უწევს სახელმწიფოსა და ევროკავშირს, სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ფინანსურ ურთიერთობებს;
- ჟ) ახორციელებს თანამეგობრობის გარე საზღვრების კონტროლს ეკონომიკური და ფისკალური მიზნებით;
- კ) ახორციელებს კონტროლს ეროვნულ ტერიტორიაზე ზემოხსნებულ მიზნებით;
- ლ) უზრუნველყოფს მთავრობისა და პორტუგალიის ბანკის ურთიერთობას მონეტარული პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით;

სახელმწიფო მმართველობისა და ფინანსთა სამინისტროს გააჩნია 4 სახელმწიფო სამდივნო, რომლებიც ანაწილებენ სამინისტროს დელეგირებულ ფუნქციებს: ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, ხაზინასა და ფინანსებზე, ფისკალურ საქმეებსა და სახელმწიფო მმართველობაზე სახელმწიფო მდივნებს.

საგადასახადო ადმინისტრაცია

საგადასახადო ადმინისტრაციას წარმოადგენს მისი სხვადასხვა ორგანოებისა და სამსახურებისაგან შემდგარ ვერტიკალურ სტრუქტურას, რომელიც ინტეგრირებულია სახელმწიფო მმართველობისა და ფინანსთა სამინისტროში და საქმიანობს ფისკალურ საკითხებზე სახელმწიფო მდივნის ზედამხედველობის ქვეშ. საგადასახადო ადმინისტრაციის ძირითადი სამსახურებია:

- გადასახადების გენერალური დირექტორატი
- საბაჟო და აქციზის გადასახადის გენერალური დირექტორატი
- ინფორმატიკისა და საგადასახადო და საბაჟო სამსახურების დახმარების გენერალური დირექტორატი

გადასახადების გენერალური დირექტორატი (გგდ) წარმოადგენს სმფს-ს სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია საშემოსავლო, მოგებისა და აქციზის გადასახადების მართვაზე მთავრობის საგადასახადო პოლიტიკასთან შესაბამისობაში. გგდ-ს ზედამხედველობს გენერალური დირექტორი, რომელსაც დახმარებას უწევს რვა მოადგილე.

საბაჟო და აქციზური გადასახადების გენერალური დირექტორატი (საგგდ) წარმოადგენს სმფს-ს სამსახურს, რომელიც მთავრობისა და ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო პოლიტიკასთან შესაბამისობაში უფლებამოსილია:

ა) გააკონტროლოს თანამეგობრობის გარე საზღვრები და შიდა საბაჟო ტერიტორია საგადასახადო და ეკონომიკური და სოციალური დაცვის მიზნებით. კერძოდ კი, კულტურის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროებში.

ბ) განახორციელოს აქციზის გადასახადის ადმინისტრირება.

ინფორმატიკისა და საგადასახადო და საბაჟო სამსახურებისათვის დახმარების გაწევის გენერალური დირექტორატი (ისსსდგვდ) პასუხისმგებელია დახმარება გაუწიოს გგდ-სა და საგგდ-ს ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიის სფეროში.

რაც შეეხება გადასახადების აკრეფის სფეროში გგდ-ს ძირითად ფუნქციებს, ესენია:

- ა) საგადასახადო მოთხოვნების მომზადება და გადასახადების აკრეფა;
- ბ) კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მართებული გამოყენების ხელშეწყობა;
- გ) გადამხდელთა ინფორმირება მათი საგადასახადო ვალდებულებების შესახებ;
- დ) საგადასახადო აუდიტთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება გადასახადებისაგან თავის არიდების აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით;
- ე) საჩივრების განხილვა და სასამართლო ორგანოებში ხაზინის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- ფ) საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების შესრულება საგადასახადო საკითხებში. განსაკუთრებით, ორმაგი დაბეგვრის საკითხებში;
- გ) საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა ნორმატიული, ტექნიკური და ორგანიზაციული დონის დივიზიონების განხორციელების გზით;
- ძ) წვერი სახელმწიფოების საგადასახადო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა და საგადასახადო საქმეებზე სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღება;
- ო) ფისკალურ საკითხებზე მომუშავე შიდა ორგანიზაციებთან ურთიერთობის ხელშეწყობა;
- ჯ) საგადასახადო პრაქტიკის გაუმჯობესების სფეროში სამეცნიერო კვლევების წარმართვისათვის ხელშეწყობა.

გგდ-ს უმაღლესი სტრუქტურაა გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო პოლიტიკის კონტროლსა და აღსრულებაზე მთავრობის მიერ დადგენილ საგადასახადო სფეროში. გგდ-ს გააჩნია შემდეგი განყოფილებები:

- ცენტრალური სამსახურები – დეპარტამენტები

- დეცენტრალიზირებული სამსახურები:
 - o რეგიონალური მოქმედების ფარგლებში – რაიონულ სამსახურები
 - o ადგილობრივი მოქმედების ფარგლებში - ადგილობრივი სამსახურები

ცენტრალური სამსახურები მოქმედებენ გენერალური დირექტორის პირდაპირი მითითებით და გააჩნიათ საგადასახადო პოლიტიკისა და კანონმდებლობის აღსრულებისა და კონტროლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების გამოცდილება.

გგდ-ს დეცენტრალიზებული სამსახურები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფენ შესაბამის სფეროში დაკისრებული ამოცანების შესრულებას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე.

გგდ-ს დეცენტრალიზებული რეგიონული სამსახურები წარმოადგენენ შუალედურ დანაყოფებს, რომლებიც ახდენენ თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სამსახურების კოორდინაციასა და ზედამხედველობას.

გგდ-ს დეცენტრალიზებული ადგილობრივი სამსახურები წარმოადგენენ ძირითად დანაყოფებს ყველა მუნიციპალიტეტში (ქვეყნის მასშტაბით სულ 372). ისინი ახდენენ გადასახადების სრულ ადმინისტრირებას.

გგდ-ს ცენტრალური სამსახურები მოიცავენ შემდეგ ძირითად დანაყოფებს:

- საგადასახადო დავებში მომსახურების დეპარტამენტი
- საგადასახადო საჩივრების მართვის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
- იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების დეპარტამენტი
- გადამზადების ცენტრი
- საგადასახადო ინფორმაციის, გადამხდელთა დახმარებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტი

კანონპროექტთა შემუშავების პროცესი

ფისკალური სამართლებრივი სისტემა რეგულირებულია რამდენიმე საგადასახადო კოდექსით და შესაძლებელია განიცადოს ცვლილებები წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვა ცალკეული კანონების გავლენით.

პროცესი იწყება პარლამენტის ან მთავრობის ინიციატივით. პროექტი გარკვეული ტექნიკური დეტალების შესწორების მიზნით წარედგინება საგადასახადო ადმინისტრაციას, რასაც ფისკალური კვლევების ცენტრი ახორციელებს სხვა ცენტრალური სამსახურებიდან შესაბამისი კომენტარებისა და შენიშვნების მიღების შემდეგ.

საგადასახადო ადმინისტრაცია ცდილობს შეიმუშავოს ყოველდღიურ საქმიანობაში წამოჭრილი სირთულეების, განსაკუთრებით განმარტებასთან დაკავშირებული, აღმკვეთი ცვლილებები.

ფისკალური კოდექსები და მათი ცვლილებები მზადდება სამუშაო ჯგუფებში, რომლის წევრებსაც ნიშნავს მინისტრი და შეარჩევს საგადასახადო საკითხების ექსპერტებსა და უნივერსიტეტის პროფესორებს (ძირითადად სამართლის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის განხრით).

დეპარტამენტის პოზიციის შემუშავების პროცესი

საკითხთა მნიშვნელობის შესაბამისად, ისინი განიხილებიან გადასახადების გენერალური დირექტორის ან ფისკალურ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მიერ.

მინისტრებსა და სახელმწიფო მდივნებს გააჩნიათ მრჩეველთა და იურდიულ კონსულტანტთა კაბინეტები, რომლებიც შეიმუშავებენ მოსაზრებებს საგადასახადო ადმინისტრაციის სპეციალიზირებული სამსახურების დახმარებით. მოსაზრება გადაეცემა მთავრობის წევრს, რომელიც როგორც წესი ეთანხმება მას.

საგადასახადო ადმინისტრაციაში განხილული საკითხები იგივე პროცედურებს გადის. საკითხი გადაეცემა საგადასახადო მოხელეს, რომელიც აყალიბებს თავის მოსაზრებას და გადაგზავნის იერარქიული ჯაჭვის შესაბამისად. თუ გენერალური დირექტორი გამოთქვამს გარკვეულ ეჭვს წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით, იგი იმავე საკითხით მიმართავს სხვა მოხელეს. თუმცა, როგორც წესი ცდილობს შერჩეულ ექპერტთან გაარკვიოს საკითხი.

საგადასახადო სარჩელები

პორტუგალიის სასამართლო სისტემა ითვალისწინებს რიგ მექანიზმებს ადმინისტრაციული აქტების, მათ შორის საგადასახადო ადინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გასაჩივრების სახით.

თუ გადამხდელი არ ეთანხმება საგადასახადო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას მაგალითად, საგადასახადო შეფასების საკითხზე, იგი უფლებამოსილია მიმართოს ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

იერარქიული გზა

გადამხდელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ადმინისტრაციული საჩივარი.

გასაჩივრება ყველაზე მარტივი და უსასყიდლო პროცესია და გულისხმობს საგადასახადო ადმინისტრაციისათვის თავისი გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნას. იგი წარედგინება შესაბამისი რაიონული სამსახურის უფროსს, რომელსაც გადაწყვეტილება გამოაქვს შემდეგი 90 დღის განმავლობაში. საჩივარი შესაძლებელია ეხებოდეს საგადასახადო შეფასების არაკანონიერებას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნას მისი გამოცემიდან 120 დღის განმავლობაში, რას ასევე შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით.

ადმინისტრაციული გასაჩივრება მიმართულია ფინანსთა სამინისტროსადმი და შესაძლებელია წინა საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

საჩივრები განიხილება 60 დღის ვადაში და შესაძლებელია გამოწვეულ იქნას 15 დღის ვადაში. საჩივრებს აქვთ ფაქულტატიური ხასიათი, რაც იმას გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე დრო არ აყოვნებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

დავა ადმინისტრაციულ სასამართლოში

სასამართლო დავა უარყოფის შესახებ შეიტანება საგადასახადო სასამართლოს ანდა გგდ-ს წინააღმდეგ, რომელმაც მოახდინა გადასახადის შეფასება ან გადამხდელის საცხოვრებელი ადგილის ან სამუშაო ადგილის ან ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ამ შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს შეფასებაზე იერიშის მიტანა. თუმცა, შესაძლებელია სხვა საგადასახადო აქტებიც იქნას გასაჩივრებული. მაგალითად, საგადასახადო შეღავათების არაღიარება.

გასაჩივრების ვადაა 90 დღე:

- გადახდის ვადა - 30 დღე – შეფასების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან;
- სხვა საგადასახადო აქტების შესახებ შეტყობინებიდან;
- იმ პირის გამოძახების დღიდან, რომელსაც კომპანიის მიმართ აქვს დავალიანება და ვერ ფარავს დავალიანებას;
- განუხილველად დატოვების დღიდან;

ადმინისტრაციული საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გადამხდელი შეტყობინებიდან 15 დღის ვადაში წარადგენს სასამართლო სარჩელს მოთხოვნის უარყოფის შესახებ, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო პროცესისადმი რეაგირების საშუალებას.

გადასახადის დაფარვის ვადა 30 დღეა, რომლის გასვლის შემდეგ იწყება საგადასახადო აღსრულების პროცესი.

სარჩელი წარედგინება საგადასახადო ადმინისტრაციის ადგილობრივ სამსახურს და განსახილველად გადაეგზავნება საგადასახადო სასამართლოს 20 დღის ვადაში. ამ პერიოდში საგადასახადო ადმინისტრაციას შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქტი.

სასამართლო განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

- გადასახადი არ არსებობს ან არ ექვემდებარება გადახდას;
- არ არსებობს რეალური მოვალე;
- ყალბი დებიტორული ინსტრუმენტი;
- დავალიანების მიწერა;
- ამოღებისას შეფასების შესახებ შეტყობინების გაუგზავნელობა;
- ვალის გადაუხდელობა ან გადახდისაგან თავის არიდება;
- ორმაგი შეფასება;
- სხვა მიზეზები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ შეფასების კანონიერების საკითხს.

გადასახადების აკრეფა შესაძლებელია შეჩერდეს სასამართლო განხილვისას კანონით დადგენილ შემთხვევებში.

საგადასახადო სასამართლოები პორტუგალიაში

პორტუგალიაში სამი ინსტანციის საგადასახადო სასამართლოები არსებობს:

I – ლისაბონისა და ოპორტოს საგადასახადო სასამართლოები და სხვა რაიონული ადმინისტრაციული და საგადასახადო სასამართლოები, რომელთა შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ლისაბონისა და ოპორტოს საგადასახადო სასამართლოები განიხილავენ მხოლოდ ფისკალურ საქმეებს, ხოლო სხვანი ადმინისტრაციულ და ფისკალურ საქმეებს.

II – სამხრეთისა და ჩრდილოეთის ცენტრალური ადმინისტრაციული სასამართლოები

III – უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო

გადამხდელები უპირველესად მიმართავენ პირველი ინსტანციის სასამართლოებს – საგადასახადო სასამართლოებს ან ადმინისტრაციულ და საგადასახადო სასამართლოებს.

საგადასახადო სასამართლოების გადაწყვეტილებანი შესაძლებელია გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ სასამართლოსა და უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება დაიშვება გამონაკლის შემთხვევებში: განსაკუთრებული სამართლებრივი საკითხი ან არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილება ერთნაირ ფაქტებსა და გარემოებებზე.

თუ დავა შეეხება სამართლებრივ საკითხს საჩივარი პირდაპირ დაიშვება უზენაეს სასამართლოში ცენტრალური ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხილვის გარეშე (*per saltum*).

საგადასახადო ადმინისტრაციას ჰყავს იურისტთა მოხელეთა ჯგუფი, რომლებიც სახელმწიფო ხაზინას უწევენ სასამართლოში წარმომადგენლობას.

ისინი მოქმედებენ რაიონის დირექტორთა სახელით პირველი ინსტანციაში, ცენტრალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით, ხოლო უზენაეს სასამართლოში გენერალური დირექტორის სახელით.

მათ ადვოკატთა მსგავსი ფუნქციები გააჩნიათ: ისინი არიან იურისტები და საქმის განაწილების და წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ ადვოკატის შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ისინი შეტყობინებას იღებენ უშუალოდ სასამართლოსაგან, მოქმედებენ იერარქიული დამოკიდებულების შესაბამისად და მონაწილეობას იღებენ ყველა საპროცესო მოქმედებაში.

გადამხდელებს უფლება აქვთ იყოლიონ დამცველი, და ვალდებულნი არიან იმ შემთხვევაში, თუ დავის ღირებულება 30,000 ევროს აღემატება. მათ აქვთ მხარეთათვის მინიჭებული ყველა უფლება.

სასამართლოში ფისკალური დავეები განიხილება, როგორც ნებისმიერი სხვა დავა და მხარეები თანასწორუფლებიან პირობებში იმყოფებიან.

პორტუგალიაში სასამართლო პროცესი საბოლოო გადაწყვეტილების (*Res judicata*) მიღებამდე შესაძლოა 4 წლამდე გაგრძელდეს.

მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რისთვისაც შექმნილია უამრავი საგადასახადო საქმეების განმხილველი სასამართლოები საქმეთა გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად.

გადამხდელთა გარანტიები

საგადასახადო საქმიანობის პრინციპები

შეზღუდული საკანონმდებლო უფლებამოსილება:

მხოლოდ პარლამენტს ან მთავრობას პარლამენტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გააჩნიათ საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავების უფლება, რაც შეეხება გადასახადების დაწესებას, საგადასახადო შეფასებას, გადასახადების კურსის დადგენას, საგადასახადო სარგებელსა და გადამხდელთა გარანტიებს.

გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი ვადების შესახებ პრინციპები:

საგადასახადო ადმინისტრაცია ვალდებულია გამოხატოს თავისი პოზიცია თავის გამგებლობაში შემავალ ყველა საკითხზე, რაზედაც შესაძლებელია მიმართოს გადამხდელმა ან სხვა პირმა.

პროცესი უნდა დასრულდეს 6 თვის ვადაში, რომლის დარღვევაც წარმოშობს გასაჩივრების უფლებას.

პირის საგადასახადო სტატუსის განსაზღვრაზე დროული რეაგირების მოთხოვნა უკავშირდება ვადების დაცვას გადასახადების შეფასებისა და აკრეფის თვალსაზრისით.

1998 წლის პირველი იანვრიდან ამოღების ვადად განისაზღვრა 4 წელი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში გადამხდელისათვის გადასახადის დაბრუნების შესახებ დოკუმენტში ან არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებისას, ამოღების ვადაა 3 წელი.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

საგადასახადო დავეების განხილვა შესაძლებელია კანონით დადგენილი უფლებებისა და ინტერესების სრული და ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის საფუძველზე. ყველა აქტი, რომელიც შესაძლებელია არღვევდეს რომელიმე კანონით დაცულ უფლებას ან ინტერესს, იძლევა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას კანონით დადგენილი წესით.

კონფიდენციალობის პრინციპი

გადამხდელის სტატუსი ისევე, როგორც მისი საგადასახადო პროცესში მონაწილეობის შესახებ ნებისმიერი პირადი ინფორმაციის შემცველი მონაცემი,

დაცულ უნდა იქნას საგადასახადო ადმინისტრაციის მოხელეთათვის დაკისრებული კონფიდენციალობის მოვალეობის შესაბამისად. კონფიდენციალობის მოვალეობა არ ექვემდებარება გასაჩივრებას გადამხდელის დავალიანების შესახებ მონაცემების ჩათვლით თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

გადამხდელისათვის გადასახადის დაბრუნების პრინციპი:

კანონით გათვალისწინებული გადასახადის დაბრუნება გადამხდელისათვის ისევე როგორც ნებისმიერ საბუღალტრო თუ ანგარიშგების მონაცემში, რაც შეესაბამება ფისკალური და კომერციული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მიიჩნევა უტყუარად. აღწერილი პრეზუმფციის უგულებელყოფა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

სამართლ იანი გადაწყვეტილების უფლება:

საგადასახადო პროცესის ფარგლებში საგადასახადო ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატივით ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად და სიმართლის დასადგენად.

თანამშრომლობის პრინციპი:

საგადასახადო ადმინისტრაცია და გადამხდელი ექვემდებარებიან სავალდებულო თანამშრომლობას, რაც შეეხება ინფორმაციას, შეტყობინებას, ეჭვების გაქარწყლებას განმარტებისა და საგადასახადო წესების გამოყენებისას, პირადად ან წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობას, საგადასახადო სარგებლის გამოქვეყნებას ან ადრინდელი კომუნიკაციას ინსპექტირების ან აუდიტის ჩატარების დაწყების შესახებ.

თანამონაწილეობის პრინციპი:

გადამხდელს გააჩნია „მოსმენის უფლება“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თუ იგი მოცემული საქმის მხარეა საგადასახადო შეფასების, საგადასახადო ვალდებულებებისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავსუფლების, საჩივრების, სარჩელების ან კანონის შეფარდების, შეღავათების ან ფისკალურ საკითხებზე ადმინისტრაციული აქტების გაუქმების, არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების შემთხვევებში, სადაც არ ფიგურირებს საგადასახადო ინსპექტირების ან საგადასახადო აუდიტის შესახებ ანგარიში.

გადამხდელთა უფლებები საგადასახადო ადმინისტრაციასთან ურთიერთობებში

ინფორმაციის უფლება

გადამხდელებს უფლება აქვთ ინფორმაცია მიიღონ მისი საქმის პროცესუალური ეტაპისა და მისი დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ; საგადასახადო დენისა და მისი განმახორციელებლის ვინაობის შესახებ; პირადი საგადასახადო სტატუსის შესახებ. 2009 წლის პირველი სექტემბრიდან მოქმედებს ახალი პროცედურები ინფორმაციის გაცემის სავალდებულოების თვალსაზრისით. გადამხდელებს უფლება აქვთ მიმართონ საგადასახადო ადმინისტრაციას განმარტების მისაღებად გარკვეული წესის თუ წესების შესაბამისად საკუთარი საგადასახადო მდგომარეობის დადგენის მიზნით.

მსგავსი ინფორმაცია შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას ჩვეულებრივი ან დაუყოვნებლივ მიღების რეჟიმში. ჩვეულებრივ რეჟიმში ადმინისტრაციას პასუხის გასაცემად ექვსთვიანი ვადა აქვს, დაუყოვნებლივ კი, 15 დღეში უნდა გასცეს პასუხი დაინტერესებულ პირს. ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება მისი მომთხოვნი პირისათვის. საგადასახადო ადმინისტრაცია უფლებამოსილია შეაფასოს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა ჩვეულებრივი წესით უნდა განხორციელდეს თუ დაუყოვნებლივ.

დასაბუთებული გადაწყვეტილებისა და შეტყობინების მიღების უფლება

ხსენებული უფლება მოიცავს გადაწყვეტილების *de facto* და *de jure* დასაბუთებას, რაც უნდა ეცნობოს გადამხდელს გადაწყვეტილების გადაცემისთანავე. დასაბუთება მოკლედ უნდა აღწერდეს და უნდა მოიცავდეს შესაბამის სამართლებრივ დებულებებს, საგადასახადო მოვლენების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და დასაფარ გადასახებსა და დასაბეგრი შემოსავლის შეფასებას. შეტყობინება ასევე უნდა მოიცავდეს სამართლებრივ დასაბუთებას, გასაჩივრების შესახებ ინსტრუქციასა და კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

კომპენსაციის უფლება:

გადამხდელი უფლებამოსილია საჩივრის წარდგენის ან სასამართლოსადმი მიმართვის გზით საგადასახადო ადმინისტრაციისაგან კომპენსაცია მოითხოვოს მის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების შემთხვევაში, რაც შესაბამისი მტკიცებულებებით დასტურდება.

დარიცხული სარგებლის კომპენსაციის უფლება წარმოიშობა თუ გაშვებულია გადასახადის დაბრუნების კანონით დადგენილი ვადა (გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღე).

საგადასახადო ინსპექტირება გადამხდელის მოთხოვნით:

გადამხდელი ან სათანადო უფლებით აღჭურვილი სამართლებრივი შედეგით დაინტერესებული მესამე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს საგადასახადო ინსპექტირება.

განწილვადებული გადახდის უფლება:

გადამხდელი უფლებამოსილია დავალიანება დაფაროს თვეებზე განწილვადების წესით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე შეეხება დაკავების წყაროსთან დაუბეგრავი გადასახადების ან მესამე პირისათვის კანონიერად გადაკისრების მიზეზით დაგროვილ დავალიანებას. განწილვადების გზით დავალიანების დასაფარად გადამხდელმა უნდა წარმოადგინოს გარანტია ან დაასახელოს შესაძლო ჩამორთმევის ქვემდებარე ქონება.

ჯარიმების შემცირების უფლება:

გადამხდელს ჯარიმების შემცირების მოთხოვნის უფლება აქვს თუ საამისო მოთხოვნა განცხადებული იქნება შესაბამისი სააღსრულებო პროცესის დაწყებამდე.

მსგავსი შემცირება დამოკიდებულია ჯარიმის თანხის გადახდის ვადებზე. კერძოდ:

- დარღვევის გამოვლენიდან 30 დღეში ახდენიან კონკრეტული დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმის მინიმალური ოდენობის 25%-ს;
- 30 დღის გასვლის შემდეგ 50%-ს;
- უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში და თუ გადახდის მოთხოვნა საგადასახადო ინსპექტირების დასრულებამდე იქნა წარმოდგენილი, ჯარიმა შესაძლებელია შემცირდეს დარღვევისათვის დადგენილი მინიმალური ოდენობის 75%-ით.

გადასახადის შემცირების უფლება დამოკიდებულია გადამხდელის კონკრეტულ საგადასახადო მდგომარეობაზე.

ხარვეზის აღმოჩენა საგადასახადო კანონმდებლობაში

საერთოდ მიიჩნევა, რომ ჩვენი სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე საგადასახადო კანონმდებლობაში არ უნდა არსებობდეს ხარვეზები.

თუმცა, პრაქტიკაში სამართლებრივი წყობის ფრაგმენტაციის გამო ხარვეზები მაინც შეინიშნება.

პორტუგალიის ყველაზე მნიშვნელოვანი დოქტრინა გვასწავლის, რომ საგამონაკლისო დებულებები, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ანალოგიის სახით, თუმცა განვრცობითი განმარტება დაშვებულია.

რაც შეეხება მატერიალურ ფისკალურ სამართალს, იგივე დოქტრინა ადგენს, რომ ანალოგია არ გამოიყენება ხარვეზებისა შესაფერებად კანონიერების პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ საქმის გადაწყვეტის ერთადერთი გზა შესაძლებელია იყოს ფისკალური კანონმდებლობის განვრცობითი განმარტება.

თუმცა, ზოგიერთი ავტორი უშვებს ფისკალური კანონის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობას განსაკუთრებით, გაყალბებისა და გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლის გამო და თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ ყველა გადამხდელის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე მითითებით.

საგადასახადო ადმინისტრაცია და გადამხდელები

ინტერნეტის გამოყენებამ დანერგა კომუნიკაციის სრულიად ახლებური სახე საგადასახადო ადმინისტრაციასა და გადამხდელებს შორის.

ახლა უკვე შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად: გადასახადების გადახდა, კონსულტაციების მიღება გადასახადების შესახებ (დავალიანება და საურავები), ცნობების მიღება ქონებრივი მდგომარეობისა და საგადასახადო სტატუსის შესახებ.

გადამხდელები უფლებამოსილი არიან წარადგინონ ადმინისტრაციული საჩივრები და სარჩელები ინტერნეტის საშუალებით.

ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით ამჟამად შექმნის პროცესშია ელექტრონული პროგრამა ადმინისტრაციული ორგანოები მხრიდან პასუხის გაცემის მიზნით.

ელექტრონული საგადასახადო ადმინისტრაციის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ელექტრონული გზით დაბრუნებული გადასახადი, რომელიც გამოიყენება გადამხდელთა დაახლოებით 70 %-ის მიერ.

გგდ-ს ინტერნეტგვერდი მოიცავს ადმინისტრაციულ წესებს, ფისკალურ საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, საჭირო ინფორმაციას, და ა.შ. ინტერნეტის საშუალებით ასევე შესაძლებელია ჩამორთმეული ქონების შეძენა.

გგდ შეიმუშავებს ახალ მეთოდებს გადამხდელებთან კომუნიკაციის ახალ ფორმებთან დაკავშირებით. იდეა მდგომარეობს ფისკალური ბლოგის შექმნაში, სადაც საგადასახადო ადმინისტრაცია და გადამხდელები ონლაინ რეჟიმში დაამყარებენ კომუნიკაციას.

შემუშავების პროცესშია საკანონმდებლო ცვლილებები, რაც შესაძლებლობას შექმნის შეტყობინებებისა და საპროცესო აქტების ელექტრონული საშუალებებით გადაგზავნისათვის.